



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

## მეხუთე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 1 მარტი, 2018 წელი

დრო: 16:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: სასტუმრო „იოტა“

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ვიტალი გიორგაძე - საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი
2. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
3. მარიამ ოზაშვილი - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
4. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
5. ანა ციციანი - კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის

განსახილველი საკითხები:

- ✓ კანონპროექტი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“
- ✓ პლატფორმის საერთო კრება
- ✓ სხვა საკითხები

მეხუთე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა, ჯგუფის კოორდინატორმა, ბატონმა ვიტალი გიორგაძემ. მან ჯგუფის წევრებს გააცნო დღის წესრიგი და შეხვედრის ჩატარების მიმართულებები განსაზღვრა.

ჯგუფის კოორდინატორმა ისაუბრა შრომის უსაფრთხოების კანონის შესახებ და მის მნიშვნელობასა და დატვირთვაზე. ასევე მან ისაუბრა მეხუთე სამუშაო ჯგუფის ფარგლებში გაკეთებულ 3 განცხადებაზე, რომელიც ამ კანონპროექტს უკავშირდებოდა. ბატონმა

ვიტალიმ ისაუბრა იმ შენიშვნებზე, რომელიც პლატფორმას გააჩნია აღნიშნულ კანონთან დაკავშირებით. ასევე ყურადღება გაამახვილა იმ ხარვეზებზე, რომელიც აღნიშნულ კანონპროექტს აქვს და მწუხარება გამოთქვა, რომ პლატფორმის მიერ გაგზავნილი რეკომენდაციები არ იქნა მიღებული და განხილული. ბატონმა ვიტალიმ ყურადღება გაამახვილა იმ საშიშ სტატისტიკაზე, რომელიც არსებობს სამუშაო პროცესში გარდაცვლილი მუშების რაოდენობასთან დაკავშირებით.

სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“-ს წარმომადგენელმა, ბატონმა ნუგზარ კობრეიძემ, აღნიშნულ კანონზე განაცხადა, რომ პლატფორმის მხრიდან აუცილებელია უფრო მეტი ძალისხმევა, რათა მოხდეს წევრი ორგანიზაციების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინება.

ჯგუფის კოორდინატორმა იმედი გამოთქვა, რომ პლატფორმის საქმიანობის მომავალი წელი იქნება დაწყებული საქმეების გაგრძელებისა და ახალი მიღწევების წელი და გამოთქვა სურვილი რომ პლატფორმის მუშაობა იყოს უფრო ნაყოფიერი.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა, ქალბატონმა მარიამ ოზაშვილმა ისაუბრა მთავრობასთან თანამშრომლობის საკითხზე და აღნიშნა, რომ მთავრობასთან თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ურთიერთკოორდინირებული და შეთანხმებული ქმედებები უფრო შედეგიანია. მან იმედი გამოთქვა, რომ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით მოხდება უფრო მეტი კოორდინირებული მუშაობა.

მეორე საკითხად დაისვა 6 მარტის საერთო კრების საკითხი, სადაც უნდა მოხდეს ჯგუფის კოორდინატორებისა და თავმჯდომარის არჩევა. ჯგუფის წევრებს მან გააცნო საერთო კრების დღის წესრიგი და განსახილველი საკითხების ჩამონათვალი.

შეხვედრის ბოლოს დასახელდნენ მეხუთე ჯგუფის კოორდინატორობის კანდიდატები, რომელთა არჩევაც მოხდება 6 მარტს საერთო კრებაზე. მეხუთე ჯგუფის კოორდინატორობის კანდიდატებად დასახელდნენ ქალბატონი რაისა ლიპარტელიანი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება და ბატონი ვიტალი გიორგაძე - საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე